



მე-18 მუხლთან დაკავშირებულ საქმეებზე სამართალწარმოების შესახებ

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრის
(EHRAC) სახელმძღვანელო



Middlesex
University
London

შინაარსი

შესავალი	3
რას მოიცავს მე-18 მუხლი?	3
როდის უნდა დავეყრდნოთ მე-18 მუხლს?	4
რომელ საქმეებში იქნა გამოყენებული მე-18 მუხლი?	4
როგორ უნდა მოხდეს იმის მტკიცება, რომ ხელისუფლებას „ფარული მიზანი“ ამოძრავებდა?	4
რატომ არის მნიშვნელოვანი მე-18 მუხლის დარღვევის დადგენა?	6
სხვა სასარგებლო რესურსები	8

შესავალი

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-18 მუხლი არის ერთ-ერთი დებულება, რომელიც, ფაქტობრივად, რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში უმოქმედო იყო, თუმცა ბოლო პერიოდში საკმაოდ აქტიურად გამოიყენება სასამართლო პრაქტიკაში. არსებითად, მუხლის მიზანია ხელი შეუშალოს სახელმწიფოებს შეზღუდონ ადამიანის უფლებები კონვენციასთან შეუსაბამო ფარული მიზნების მისაღწევად, განსაკუთრებით კი პოლიტიკური დევნის საქმეებში - სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როდესაც სახელმწიფო ორგანოები არაკეთილსინდისიერი გზებით ებრძვიან კონკრეტულ პირებს. მე-18 მუხლის ძირითად მიზანს და დანიშნულებას წარმოადგენს ძალაუფლების ბოროტად გამოყენების აკრძალვა.

[ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა ცენტრმა \(EHRAC\)](#) წარმატებით გამოიყენა მე-18 მუხლი აზერბაიჯანელი ადამიანის უფლებათა დამცველების („[რასულ ჯაფაროვი აზერბაიჯანის წინააღმდეგ](#)“, „[ალიევი აზერბაიჯანის წინააღმდეგ](#)“ და „[ლეილა იუნუსოვა და არიფ იუნუსოვი](#)“) და საქართველოს ყოფილი პრემიერ მინისტრის („[მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ](#)“) საჩივრებში და ასევე სხვა საქმეებში.

რას გულისხმობს მე-18 მუხლი, როდის და როგორ უნდა დავეყრდნოთ მას, და რა სახის ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს ამ მუხლის დარღვევაზე აპელირებამ? წინამდებარე სახელმძღვანელო შეეცდება პასუხები გასცეს აღნიშნულ კითხვებს. სახელმძღვანელოს არ აქვს ამბიცია მოგაწოდოს სხვა ქვეყნებში არსებული პრეცედენტული სამართლის ყოვლისმომცველი ანალიზი, რომელიც შეგიძლიათ სხვა ლიტერატურაში მოიძიოთ (იხილეთ ქვემოთ სასარგებლო რესურსები), თუმცა მიზნად ისახავს დაეხმაროს ადვოკატებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც წარმოადგენენ მოსარჩელეთა ინტერესებს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში (ან ადგილობრივ სასამართლოებში), რათა მათ გააცნობიერონ ამ მუხლის არსი და შეიმუშაონ მისი გამოყენების შესაფერისი სტრატეგიები.

რას მოიცავს მე-18 მუხლი?

მე-18 მუხლის ფორმულირება შემდეგია:

„დაუშვებელია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების კონვენციით ნებადართული შეზღუდვების გამოყენება არა იმ მიზნებისათვის, რისთვისაც ისინი იქნა გათვალისწინებული.“

ეს საშუალებას აძლევს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს შეისწავლოს შემაკავებელი ღონისძიების გამოყენების საფუძვლები და თუკი გასაჩივრებული ზომა რეალურად გატარებული იქნა არააღნიშნულებისამებრ, ასეთ შემთხვევაში, დაადგინოს კონვენციის დარღვევა. შესაბამისად, მე-18 მუხლი გულისხმობს კონვენციის ფუძემდებლურ კონცეფციას - კანონიერების უზრუნველყოფას - კერძოდ კი, თვითნებური მოქმედებების აკრძალვას.

მაშასადამე, რა სახის „შეზღუდვებს“ მოიცავს მე-18 მუხლი? როგორც მუხლის განმარტებაში არის ნათქვამი, მუხლი ვრცელდება ნებისმიერ შეზღუდვაზე, რომელიც ნებადართულია კონვენციის თანახმად. დღემდე, მე-18 მუხლის დარღვევაზე აპელირება მომჩივანების მხრიდან უმეტესწილად ხდება უკანონო თავისუფლების შეზღუდვის საქმეებში და ამიტომ მე-18 მუხლი, როგორც წესი, გამოიყენება მე-5 მუხლთან ერთობლიობაში (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება). თუმცა, აღნიშნული მუხლი ასევე გამოიყენებული იქნა [ადვოკატის საცხოვრებელი სახლისა და ოფისის ჩხრეკისა და ამოღების](#) (8-ე მუხლი - პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება) და [საჯარო დემონსტრაციებზე პოლიტიკოსის განმეორებითი დაპატიმრების](#) (11-ე მუხლი- შეკრების თავისუფლების უფლება) საქმეებში.

მე-18 მუხლი ჯერჯერობით არ გამოყენებულა მე-6 მუხლთან ერთობლიობაში (სამართლიანი სასამართლოს უფლება) იმის საფუძველზე, რომ მე-6 მუხლი არ მოიცავს რაიმე ისეთ აკრძალვას, რასაც მე-18 მუხლი შესაძლოა დაეყრდნოს (თუმცა, აღნიშნული შეხედულება [ექვევშე დგას](#) და [მიმდინარეობს დავა](#) ამასთან დაკავშირებით).

ნებისმიერ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს მე-18 მუხლის წარმოშობის საფუძვლები. აღნიშნული მუხლი შემოღებულ იქნა დესპოტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, რასაც კონვენციის მოსამზადებელი მასალებიც ([Travaux Préparatoires](#)) ადასტურებს:

„რისიც უნდა გვეშინოდეს დღეს არის არა ტოტალიტარისტული ძალების მიერ ძალადობის გზით ძალაუფლების ხელში ჩაგდება, არამედ ის, რომ ტოტალიტარიზმი შეეცდება საკუთარი თავის ხელისუფლებაში მოქცევას ფსევდო-ლეგიტიმური საშუალებებით. გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ საკმარისია ქვეყანაში შეიქმნას დაშინებისა და ტერორის ატმოსფერო საარჩევნო კამპანიის დროს, რათა აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გატარებულმა ყველა ზომამ, რომელიც მიზნად ისახავს ტოტალიტარული რეჟიმის დანერგვას, მიიღოს კანონიერი ხასიათი და სახე.“

როდის უნდა დავეყრდნოთ მე-18 მუხლს?

არსებობს გარკვეული ფორმალური კრიტერიუმები. მე-18 მუხლი არ გამოიყენება დამოუკიდებლად - ის უნდა იქნას გამოყენებული კონვენციის სხვა უფლებასთან ერთობლიობაში (ისევე როგორც მე-14 მუხლი). მაგალითისთვის, თუკი მომჩივანი აცხადებს, რომ იგი დაექვემდებარა არაკანონიერ დევნას და დაკავებას, მან უნდა იდავოს, რომ მასთან მიმართებაში მე-18 და მე-5 მუხლი ერთობლივად დაირღვა.

თუმცა, შეიძლება ადგილი ჰქონდეს მხოლოდ მე-18 მუხლის დარღვევას (კონვენციის სხვა უფლებასთან ერთობლიობაში), თუნდაც თუკი არ მომხდარა კონვენციის სხვა უფლების ცალკე დარღვევა.

ევროპული სასამართლო მე-18 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით წარმოდგენილი საჩივრის შეფასებისას იყენებს სასამართლოს სტანდარტული მტკიცების ტესტს (დღესდღეისობით, უფრო მკაცრი სტანდარტი აღარ არის საჭირო, როგორც ეს წინა სასამართლო პრაქტიკაში იყო გათვალისწინებული).

ამ ფორმალური ასპექტების გარდა, სავარაუდოდ, უნდა იქნას გათვალისწინებული უფრო ფართო სტრატეგიული საკითხები იმის შესავსებად, თუ რამდენად მიზანშეწონილია მე-18 მუხლზე აპელირება და როგორ უნდა განხორციელდეს ეს. მე-18 მუხლის დარღვევის მნიშვნელობიდან გამომდინარე (ის, რომ ხელისუფლებამ ბოროტად გამოიყენა ძალაუფლება) სასამართლო ძალიან დიდი სიფრთხილით ეკიდება ამგვარი დასკვნების გამოტანას. ქვემოთ მოცემულ ქვეთავებში განხილულია აღნიშნული საკითხები.

რომელ საქმეებში იქნა გამოყენებული მე-18 მუხლი?

მე-18 მუხლის დარღვევა წარმატებით დადგინდა უკრაინელი, აზერბაიჯანელი, ქართველი, თურქი და რუსი ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკოსების, მათ შორის უკრაინის ყოფილი პრემიერ მინისტრის [იულია ტიმოშენკოს](#) და ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის [იური ლუცენკოს](#) საქმეებში. იგივე შეიძლება ითქვას აზერბაიჯანელი ოპოზიციონერი პოლიტიკოსის [ილაგარ მამადოვისა](#) და საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის [ივანე მერაბიშვილის](#), აგრეთვე თურქი პოლიტიკოსის [სელაჰათინ დემირტაშის](#) და რუსი პოლიტიკური აქტივისტის [ალექსეი ნავალნის](#) შემთხვევაშიც (იხილეთ ასევე [აქ](#)).

საქმეების კიდევ ერთი ნაწილი ეხება აზერბაიჯანელი ადამიანის უფლებათა დამცველების, ჟურნალისტებისა და ადვოკატების, მათ შორის [რასულ ჯაფაროვის](#), [ინტიგამ ალიევის](#), [ანარ მამედლის](#), [ხადიჯა ისმაილოვას](#), [ლეილა იუნუსოვას](#) და [არიფ იუნუსოვის](#) და [სამოქალაქო მოძრაობის](#), [NIDA-ს](#) მმართველი საბჭოს წევრების საქმეებს, რომელთა მიმართაც სისხლისსამართლებრივი დევნა განხორციელდა. თურქმა ადამიანის უფლებათა დამცველმა, [ოსმან კავალამ](#), ასევე წარმატებით გამოიყენა მე-18 მუხლი.

როგორ უნდა მოხდეს იმის მტკიცება, რომ ხელისუფლებას „ფარული მიზანი“ ამოძრავებდა?

ერთ-ერთ ყველაზე რთულ საკითხს წარმოადგენს იმის დამტკიცება, რომ ხელისუფლებამ ბოროტად გამოიყენა ძალაუფლება - რა სახის მტკიცებულებაა ამისთვის საჭირო? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ნამდვილად არ არის იოლი, თუმცა გარკვეული სიცხადის შეტანა შესაძლებელია, თუკი გავეცნობით იმ საქმეებს, სადაც მე-18 მუხლი იქნა გამოყენებული როგორც წარმატებით, ასევე წარუმატებლად. პირველ რიგში უნდა იქნას გათვალისწინებული არსებობს თუ არა რაიმე კონკრეტული მტკიცებულება კონკრეტულ მომჩივანთან დაკავშირებით, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ხელისუფლებამ საკუთარი ფარული მიზნების მისაღწევად ამ ადამიანის წინააღმდეგ გაატარა გარკვეული ზომები. პირის მიმართ არაკეთილსინდისიერი მოპყრობის უტყუარი მტკიცებულება რთული მოსაძიებელია, თუმცა ასეთ შემთხვევაში, უნდა დავაკვირდეთ ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ გაკეთებულ შესაბამის განცხადებებს, აგრეთვე ხელისუფლების მანამდე განხორციელებულ ქმედებებს და ფართო კონტექსტს. მაგალითად, აზერბაიჯანელი ადამიანის უფლებათა დამცველების მიერ შეტანილ სარჩელში (განხილულია ქვემოთ), სასამართლომ ყურადღებით შეისწავლა უფლებადამცველთა წინააღმდეგ ფართოდ განხორციელებული რეპრესიების ადგილობრივი კონტექსტი.

ზოგიერთ გახმაურებულ საქმეში, სადაც მე-18 მუხლი იქნა გამოყენებული, ვარაუდობდნენ, რომ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაზე აპელირებას გარდატეხა უნდა მოეხდინა საქმეში, თუმცა ეს მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა. მაგალითად, ევროპულმა სასამართლომ უარყო მიხეილ [ხოდორკოვსკის](#), რუსული ნავთობკომპანიის „იუკოსის“ დირექტორთა საბჭოს ყოფილი წევრისა და ძირითადი აქციონერის, საჩივარი მასზე, რომ მისი დაკავება, დაპატიმრება და დევნა პოლიტიკურად მოტივირებული იყო. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ზემოთ ხსენებულ საქმესთან დაკავშირებით სასამართლოს გაუჩნდა „გარკვეული ეჭვები“, თუმცა არ არსებობდა საკმარისი

მტკიცებულება იმის დასადასტურებლად, რომ, როგორც ბატონი ხოდორკოვსკი დავობდა, მის შემთხვევაში თავიდანვე ბოროტად იქნა გამოყენებული მთელი სამართლებრივი მანქანა. მე-18 მუხლი ასევე წარუმატებლად იქნა გამოყენებული მომჩივანი ნავთობკომპანიის მიერ „შპს ნავთობკომპანია იუკოსი რუსეთის წინააღმდეგ“ საქმეში ([OAO Neftyanaya Kompaniya Yukos v Russia](#)), რომელიც შეეხებოდა კომპანიის წინააღმდეგ სამართლებრივ და საგადასახადო დევნას და აღსრულებას, რამაც გამოიწვია კომპანიის წინააღმდეგ უზარმაზარი ჯარიმების დაწესება, მისი გადახდისუუნაროდ გამოცხადება და საბოლოოდ, ლიკვიდაცია. სასამართლომ ვერ აღმოაჩინა რაიმე პოლიტიკური მოტივი საქმეში არსებული მტკიცებულებების მიღმა. მე-18 მუხლი ასევე უსარგებლოდ იქნა მითითებული ზურაბ [ჭანკოტაძის](#) მიერ, რომლის, როგორც საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს თავმჯდომარის, წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნა უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით დაიწყო. მომჩივანმა შეძლო დაემტკიცებინა, რომ მისი სასამართლო პროცესი წარიმართა უსამართლოდ და მის მიმართ დაირღვა მე-6 მუხლი, რადგან სასამართლომ არ მიიჩნია განსახილველი სადავო ქმედებები (სამოქალაქო ავიაციის კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებები) სისხლის სამართლის დანაშაულად. მე-18 მუხლის დარღვევის დასადასტურებლად (მე-5 მუხლთან ერთობლიობაში), ბატონმა [ჭანკოტაძემ](#) მიუთითა მიხეილ სააკაშვილის მიერ გაკეთებული განცხადებები ამ უკანასკნელის საპრეზიდენტო კამპანიის დროს, სადაც იგი ბატონ [ჭანკოტაძეს](#) ციხეში ჩასმით ემუქრებოდა. ამასთან, სასამართლომ არ ჩათვალა ეს საკმარის არგუმენტად, რომ ხელისუფლებას ამოძრავებდა ფარული ზრახვები მომჩივანის დაკავების და დევნის დროს.

ძალზედ იშვიათად ხდება, როდესაც მომჩივანს შეუძლია წარმოადგინოს ფარული მიზნების დამადასტურებელი დოკუმენტური მტკიცებულებები, თუმცა ეს არ შეიძლება ითქვას ბიზნეს მაგნატის, [ვლადიმერ გუსინსკის](#) შესახებ. მომჩივანი დავობდა, რომ მისი დაპატიმრებით, ხელისუფლება სინამდვილეში ცდილობდა ეიძულებინა იგი მიეყიდა თავისი მედია ბიზნესი გაზპრომისთვის მისთვის არასახარბიელო პირობებით. სასამართლომ დაადგინა არაკეთილსინდისიერი განზრახვა იმ ასპექტში, რომ გაზპრომმა გუსინსკის ხელშეკრულების გაფორმება მოსთხოვა მაშინ, როდესაც იგი პატიმრობაში იმყოფებოდა, და რომ მინისტრმა საკუთარი ხელმოწერით დაამოწმა ეს შეთანხმება და რომ მოგვიანებით გამოძიებულმა აღნიშნული შეთანხმების საფუძველზე გუსინსკის ბრალდებები მოუხსნა. სასამართლოს დასკვნით „დაუშვებელია საჯარო სამართლის საკითხების მიზნის მისაღწევად სამართალწარმოების და წინასწარი პატიმრობის გამოყენება კომერციული შეთანხმების სტრატეგიის ნაწილად.“

უმეტეს შემთხვევაში, სადაც მე-18 მუხლი წარმატებით იქნა გამოყენებული, ევროპული სასამართლო არაკეთილსინდისიერი განზრახვის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას დაეყრდნო უფრო ფართო კონტექსტს, რომელშიც აღძრული იქნა სისხლის სამართლის საქმე და ზოგ შემთხვევაში, სისხლისსამართლებრივი დევნის განმახორციელებელი ორგანოების მიერ გაკეთებულ განცხადებებს. [იური ლუცენკოს](#) საქმეზე სასამართლომ აღნიშნა, რომ საგამოძიებო ორგანოებმა მანამდე განაცხადეს, რომ მომჩივანის კომუნიკაცია მედიასთან მისი დაკავების ერთ-ერთი საფუძველი გახდა და ბრალი დასდეს მას საკუთარი დანაშაულის შესახებ საზოგადოების აზრის დამახინჯებაში, პროკურატურის დისკრედიტაციასა და ჩანიშნული სასამართლო პროცესის საბოლოო შედეგზე ზეგავლენის მოხდენის მცდელობაში. სასამართლოსთვის ეს საკმარისი აღმოჩნდა, რათა ნათლად დაენახა, რომ პროკურატურას სურდა დაესაჯა ბ-ნი ლუცენკო მის მიმართ საჯაროდ გაულერებული ბრალდებების წინააღმდეგ გალაშქრებისათვის და საკუთარი უდანაშაულობის მტკიცებისათვის - და ამიტომ, მას შეუზღუდეს თავისუფლება არა მხოლოდ მისი კომპეტენტური იურიდიული ორგანოს წინაშე წარდგენის მიზნით, რადგან არსებობდა გონივრული ეჭვი მის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ, არამედ სხვა მიზნებისათვის, რითიც დაირღვა მე-18 მუხლი მე-5 მუხლთან ერთობლიობაში. ანალოგიურად, სასამართლომ დაადგინა, რომ [იულია ტიმოშენკოს](#) დაკავების რეალური მიზანი იყო მისი დასჯა იმის გამო, რომ მან ვითომდა ხელი შეუშალა მის წინააღმდეგ მიმდინარე სამართალწარმოებას და უპატივცემულობა გამოხატა სასამართლოს მიმართ. თურქი ადამიანის უფლებათა დამცველის [ოსმან კავალას](#) საქმეზე სასამართლომ დაადგინა, რომ მისი დევნა და დაპატიმრება არ იყო გამყარებული ისეთი მტკიცებულებებით, რომლებიც გონივრულად ჩათვლებოდა კრიმინალიზირებულ ქმედებად ეროვნული კანონმდებლობის თანახმად და ასევე დიდწილად უკავშირდებოდა მის მიერ კონვენციის უფლებების გამოყენებას. მას შემდეგ, რაც სასამართლომ მიუთითა დაუსაბუთებელი დროის ინტერვალი (რამდენიმე წელი) ზემოთ აღნიშნულ მოვლენებსა და ბ-ნი კავალას დაპატიმრებას შორის და ის ფაქტი, რომ მისთვის ბრალის წაყენება მოხდა თურქეთის პრეზიდენტის ორი სიტყვით გამოსვლის შემდეგ, რომელიც პირადად ბ-ნი კავალას შეეხებოდა, სასამართლომ დაასკვნა, რომ მის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები მიზნად ისახავდა მისი, როგორც ადამიანის უფლებათა დამცველის, გაჩუქებას.

სხვა საქმეებში, სასამართლოს პოზიცია კიდევ უფრო მკაცრი იყო. [ილგარ მამადოვის](#) საქმე ეხებოდა პოლიტიკოსისა და ბლოგერის დაპატიმრებას და სისხლისსამართლებრივ დევნას. მას ბრალად ედებოდა არეულობის პროვოცირება. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არ არსებობდა გონივრული საფუძველი მომჩივანის დაპატიმრების გასამართლებლად და ასევე, ხელისუფლებამ ვერ დაასაბუთა, რომ იგი კეთილსინდისიერად მოქმედებდა. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ ილგარ მამადოვი დაპატიმრეს მის მიერ ამბოხების მიზეზებთან დაკავშირებით გამოქვეყნებული რამდენიმე ბლოგის გამო.

შეზღუდვების მიზნების სიმრავლე

საკმაოდ რთულია ისეთი საქმის შეფასება, სადაც ევროპული სასამართლო ადგენს კონვენციის უფლებების რამდენიმე შეზღუდვას, რომლებიც შეიძლება იყოს დასაშვები ან დაუშვებელი („შეზღუდვების მიზნების სიმრავლე“). ასეთ შემთხვევებში, სასამართლომ უნდა დაადგინოს რომელი იყო უპირატესი მიზანი. ამ თვალსაზრისით, სასამართლო აფასებს სავარაუდო ფარული განზრახვის მიზანშეწონილობის ხასიათსა და ხარისხს.

ზემოთ აღნიშნული პოზიცია დაფიქსირდა საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი ოპოზიციური პოლიტიკოსის [მერაბიშვილის](#) საქმეზეც, რომელიც გაასამართლეს სამსახურებრივი უფლებამოსილების და წინასწარი პატიმრობის ბოროტად გამოყენებისათვის (და ასევე სხვა დანაშაულებისათვის). სასამართლომ დაადგინა, რომ, თავდაპირველად, მერაბიშვილი დააკავეს სასამართლოს წინაშე წარდგენის მიზნით, რადგან არსებობდა გონივრული ეჭვი, რომ მას ჩადენილი ჰქონდა მის მიმართ ბრალად შერაცხული ქმედებები. ამასთან, საკმაოდ სარწმუნოდ და დამაჯერებლად იქნა სასამართლოს მიერ მიჩნეული მერაბიშვილის განცხადება იმის შესახებ, რომ მოხდა მისი ციხის საკნიდან გვიან ღამით გაყვანა მთავარ პროკურორთან და ციხის ადმინისტრაციის უფროსთან შესახვედრად, რომლებიც ცდილობდნენ დაერწმუნებინათ მერაბიშვილი მიეცა ჩვენება ყოფილი პრემიერ-მინისტრის გარდაცვალების გამოძიების და ყოფილი პრეზიდენტის საქმესთან დაკავშირებით. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ მომჩივანის თავისუფლების აღკვეთის თავდაპირველი მიზანი საბოლოოდ შეცვლილი იქნა (მიზანს წარმოადგენდა სხვა საქმეებზე ინფორმაციის მოპოვება). აქედან გამომდინარე, დადგინდა მე-18 მუხლის დარღვევა მე-5 მუხლთან ერთობლიობაში. ანალოგიური გადაწყვეტილება იქნა მიღებული [სელაპათინ დემირტაშის](#) საქმეზე, სადაც ევროპულმა სასამართლომ დაამტკიცა, რომ მომჩივანი პოლიტიკოსის დაკავების მიზეზი გახდა არა მხოლოდ გონივრული ეჭვი, რომ მის მიერ ჩადენილი იქნა დანაშაული (მუხლი 5 (1) (გ)), არამედ ასევე პოლიტიკური მიზნები. ამასთან, სასამართლომ დაადგინა, რომ სელაპათინ დემირტაშის დაკავების უპირატესი მიზანი პლურალიზმის ჩახშობა და პოლიტიკური დებატების თავისუფლად წარმართვის შეზღუდვა იყო.

ზემოთ აღნიშნული საქმეები გვაჩვენებს, რომ რიც შემთხვევებში გადამწყვეტი და მომგებიანია მე-18 მუხლის დარღვევაზე აპელირება, ხოლო ზოგჯერ კი, ამის გაკეთება სულაც არ არის მიზანშეწონილი საქმის მთავარი არსის ხელიდან გაშვების რისკის გამო. იმ შემთხვევაში, თუკი საქმეში მე-18 მუხლის მითითება წარმატების თვალსაზრისით „სარისკო და არასაიმედოა,“ თქვენი სტრატეგია უნდა დაეყრდნოს იმას, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მომჩივანისთვის იმის დადგენა, რომ ხელისუფლებამ ბოროტად გამოიყენა ძალაუფლება. სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით, ევროპულმა სასამართლომ [მერაბიშვილის](#) საქმესთან დაკავშირებით განმარტა, რომ სასამართლო განიხილავს მე-18 მუხლს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს მუხლი საქმის „ფუნდამენტურ ასპექტს“ წარმოადგენს.

მაგალითისთვის ავიღოთ პოლიციის მიერ სასტიკი და გაუმართლებელი ფორმით ჩატარებული ჩხრეკისა და ამოღების ოპერაცია უფლებადამცველის ოფისში. სავარაუდოდ გაგიჩნდებათ სურვილი იდავოთ, რომ ასეთი ღონისძიება მე-8 მუხლის არაპროპორციული დარღვევაა (პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებლისა და პირადი მიმოწერის პატივისცემის უფლება), თუმცა რაოდენ წარმატებული იქნება ასევე მე-18 მუხლის დარღვევის მითითება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ეფექტურად შეძლებთ იმის დამტკიცებას, რომ ხელისუფლებამ ბოროტად გამოიყენა ძალაუფლება და რომ ეს არის საქმის ფუნდამენტური ასპექტი.

[ალექსეი ნავალნი](#) დავობდა, რომ საჯარო დემონსტრაციებზე მისი შვიდჯერ დაპატიმრებით დაირღვა მე-18 მუხლი (ორ ეპიზოდში), რადგან მისი დევნის მიზანს წარმოადგენდა მისი პოლიტიკური საქმიანობა. სასამართლოს დიდმა პალატამ დაადგინა, რომ ბატონი ნავალნის მიერ მე-18 მუხლის დარღვევაზე აპელირება მართლაც წარმოადგენდა საქმის ფუნდამენტურ ასპექტს (პალატის მანამდე მიღებული გადაწყვეტილებისგან განსხვავებით). ევროპულმა სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ საჩივრის არსი არ იქნა განხილული სასამართლოს მიერ ალექსეი ნავალნის მიერ კონვენციის მე-5 და მე-11 მუხლების დარღვევის თაობაზე მანამდე შეტანილი საჩივრების შეფასებისას.

რატომ არის მნიშვნელოვანი მე-18 მუხლის დარღვევის დადგენა?

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მე-18 მუხლის დარღვევის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები მნიშვნელოვანია, რადგან ის დაადასტურებს, რომ ევროპის საბჭოს ერთ-ერთი ქვეყანა მიზანმიმართულად ბოროტად იყენებდა საკუთარ უფლებამოსილებას. მთელ რიც შემთხვევებში, სასამართლომ დაადგინა, რომ სახელმწიფო უწყებებს მიზანში ჰყავთ ამოღებული პირები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ან სხვაგვარად აკრიტიკებენ არსებულ ხელისუფლებას. კიდევ უფრო მკაცრია სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომელთა თანახმად, ხელისუფლების მიზანს წარმოადგენდა პოლიტიკოსების ([ილგარ მამადოვი](#)), ჟურნალისტების ([ხადიჯა ისმაილოვა](#)) და უფლებადამცველების ([ინტიგამ ალიევი](#), [ანარ მამედლი](#), [ოსმან კავალას](#) და [ლეილა იუნუსოვა](#) და [არიფ იუნუსოვი](#)) გაჩუმება და დასჯა.

აღნიშნული საქმეები ასევე განიხილება როგორც ფუნდამენტური დემოკრატიული პრინციპების წინააღმდეგ მიმართული პირდაპირი გამოწვევა. თურქი ოპოზიციონერი პოლიტიკოსის, [სელაჰატინ დემირტაშის](#) საქმეში, დადგენილ იქნა მე-18 მუხლის დარღვევა, ვინაიდან საარჩევნო კამპანიის დროს მის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმე „მიზნად ისახავდა პლურალიზმის ჩახშობას და თავისუფალი პოლიტიკური დებატების ხელშეშლას, რაც დემოკრატიული საზოგადოების არსის მთავარ მამოძრავებელ ღერძს წარმოადგენს.“

ანალოგიურად, [ალექსეი ნავალნის](#) საქმეზეც, სასამართლოს დიდმა პალატამ მიუთითა დემოკრატიის წინაშე არსებულ საფრთხეზე:

„სადავო შეზღუდვა სამომავლოდ დააზარალებდა არა მხოლოდ მომჩივანს ან სხვა ოპოზიციურ აქტივისტებს და მის მომხრეებს, არამედ თვით დემოკრატიის არსს, როგორც საზოგადოების ორგანიზების მექანიზმს.“

რა გავლენას ახდენს მე-18 მუხლის დარღვევის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები მომჩივანებზე - განსაკუთრებით კი მათ სისხლისსამართლებრივ მსჯავრზე? სასამართლომ ამ კითხვას პასუხი გასცა ილგარ მამადოვის საჩივართან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებაში, სადაც მე-18 მუხლის დარღვევის [დამტკიცებამ](#) მე-5 მუხლთან ერთობლიობაში შედეგად გამოიწვია მამადოვის პირველი განაჩენის საფუძველზე მის მიმართ განხორციელებული ნებისმიერი ღონისძიების ბათილად ცნობა.

ზემოთ აღნიშნულ საქმეებში დაფიქსირებული დარღვევების სიმძიმის გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ და მინისტრთა კომიტეტმა შეიმუშავეს ზომები, რათა დამატებითი ზეწოლა მოეხდინათ ზემოთ აღნიშნულ სახელმწიფოებზე კონვენციის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გადადგმული ნაბიჯები

სასამართლოს აქვს შესაძლებლობა (რომელსაც იგი ძალზედ იშვიათად მიმართავს) გამოიყენოს 46-ე მუხლი სისტემური პრობლემების გამოვლენის და ასევე მთავრობებისათვის იმ ზომების დაწესების მიზნით, რომლებიც უნდა იქნას გატარებული ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსასრულებლად. სასამართლო ასევე მოიქცა, მაგალითად, [ინტიგამ ალიევის](#) საქმეზე, სადაც მე-18 მუხლის დარღვევის შესახებ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებები აზერბაიჯანის წინააღმდეგ ასახავდა

„მთავრობისადმი კრიტიკულად განწყობილი პირების, სამოქალაქო აქტივისტებისა და უფლებადამცველთა თვითნებური დაპატიმრებისა და დაკავების შემამფოთებელ მოდელს სადამსჯელო სისხლისსამართლებრივი დევნისა და სისხლის სამართლის კანონის ბოროტად გამოყენების გზით, რაც აშკარად და დაუფარავად ეწინააღმდეგებოდა კანონის უზენაესობის პრინციპს.“

სასამართლო ასევე შეეხო ეროვნულ სასამართლოებს:

„ადგილობრივმა სასამართლოებმა, რომლებიც არიან კანონის უზენაესობის მთავარი დამცველები, ვერ შეძლეს მომჩივანის სისტემატური დაცვა თვითნებური პატიმრობისგან და ძალაში დატოვეს წინასწარი დაკავება ზემოხსენებულ საქმეებში, რასაც შედეგად მოჰყვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღება, რითიც მთავრობას შეეზღუდა პროკურატურის მიერ დაკავების შესახებ წარდგენილი შუამდგომლობის ავტომატური დამტკიცების უფლება მომჩივანის ჭეშმარიტი სასამართლო ზედამხედველობის გარეშე.“

არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, სასამართლომ განსაზღვრა „ზოგადი ღონისძიებები,“ რომელთა გატარებაც დაევალა აზერბაიჯანის ხელისუფლებას სასამართლოს გადაწყვეტილების საპასუხოდ. შესაბამისად, აზერბაიჯანის ხელისუფლებას

პრიორიტეტულად უნდა მოეხდინა ფოკუსირება მთავრობისადმი კრიტიკულად განწყობილი პირების, სამოქალაქო აქტივისტებისა და ადამიანის უფლებათა დამცველების დაცვაზე და არ დაეშვა მათი თვითნებური დაკავება და დაპატიმრება. აღნიშნული ზომების მიზანი იყო სადასამსჯელო სისხლისსამართლებრივი დევნის და კანონის ბოროტად გამოყენების აღმოფხვრის უზრუნველყოფა აღნიშნული ჯგუფის პირთა მიმართ და მომავალში მსგავსი ქმედებების განმეორების პრევენცია.“

გარდა ამისა, სასამართლომ დამატებით მიუთითა, თუ რა უნდა განხორციელებულიყო თავად ბ-ნი ალიევის მიმართ, კერძოდ, მთავრობას დაევალა „მისი პროფესიული საქმიანობის [აღდგენა]“ ისეთი ღონისძიებების მეშვეობით, რომლებიც „მიზანშეწონილი, დროული, ადეკვატური და საკმარისი იქნებოდა სასამართლოს მიერ აღმოჩენილი დარღვევების მაქსიმალური გამოსწორებისათვის და მომჩივანის შეძლებისდაგვარად იმ მდგომარეობაში დასაბრუნებლად, რომელშიც ის დაპატიმრებამდე იმყოფებოდა.“

[ალექსეი ნავალნის](#) მიერ შეტანილ საჩივართან დაკავშირებით, სასამართლომ მიუთითა 46-ე მუხლი და აღნიშნა,

რომ რუსეთის ხელისუფლებამ უნდა გაატაროს საკანონმდებლო ან სხვა ღონისძიებები, რათა უზრუნველყოს მშვიდობიანი შეკრების უფლების დაცვა.

სასამართლო უფრო მეტად მკაცრი იყო [სელაჰათინ დემირტაშის](#) საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებაში, რითიც თურქეთის ხელისუფლებას მოსთხოვა მომჩივანი პოლიტიკოსის წინასწარი პატიმრობიდან გათავისუფლება „რაც შეიძლება მოკლე ვადაში,“ და ასევე ანალოგიურად მოსთხოვა ხელისუფლებას [ოსმან კავალას](#) დაუყოვნებლივი გათავისუფლება.

მინისტრთა კომიტეტის მიერ გაცემული მითითებები

ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილებების მნიშვნელობის გათვალისწინებით, მინისტრთა კომიტეტმა შესაბამის სახელმწიფოებს მოსთხოვა გრძელვადიანი ზომების გატარება. მართალია, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს პირდაპირ არ მოუთხოვია უკანონოდ დაკავებული პოლიტიკოსის [ილგარ მამადოვის](#) განთავისუფლება, თუმცა ეს მინისტრთა კომიტეტმა გააკეთა. შედეგად, 2018 წელს ბ-ნი მამადოვი გაათავისუფლეს (მას შემდეგ, რაც მინისტრთა კომიტეტმა დაუბრუნა საქმე ევროპულ სასამართლოს დარღვევის პროცედურის თანახმად). მინისტრთა კომიტეტმა ასევე მოითხოვა მომჩივანთა მსჯავრის გაუქმება მე-18 მუხლის საქმეებში, რის შედეგადაც, 2020 წლის აპრილში, აზერბაიჯანის უზენაესმა სასამართლომ [გააუქმა](#) როგორც ილგარ მამადოვის, ასევე რასულ ჯაფაროვის, ნასამართლეობა.

[ალექსეი ნავალნის](#) მიერ მე-18 მუხლის დარღვევასთან შეტანილ ორ საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილების შემდგომ, მინისტრთა კომიტეტმა განაგრძო რუსეთში საკანონმდებლო ცვლილებების საკითხზე დაკვირვება შეკრების თავისუფლების უფლების დაცვის უზრუნველსაყოფად. გარდა ამისა, რაც შეეხება თავად ბატონ ნავალნის, მინისტრთა კომიტეტმა [მიუთითა](#):

„არსებითად მნიშვნელოვანია, რომ სამომავლოდ მომჩივანს ხელი არ შეუშალოს მშვიდობიანი შეკრების უფლებით სარგებლობაში და ამ მხრივ, მნიშვნელოვანია, რომ იგი აღარ დაექვემდებაროს უკანონო დაპატიმრებას, უსამართლო სასამართლო პროცესს და დასჯას ამგვარ შეკრებებში მონაწილეობის გამო.“

[მერაბიშვილის](#) საქმეში, მინისტრთა კომიტეტმა განაგრძო ზეწოლა საქართველოს სახელისუფლებო ორგანოებზე, რათა მათ გამოეძიებინათ მერაბიშვილის ციხის საკნიდან უკანონოდ გაყვანის ინციდენტი, და [მოითხოვა](#) „სრულყოფილი და ეფექტიანი გამოძიების ჩატარება მე-18 მუხლის დარღვევის ჩამდენთა ვინაობის დადგენისა და მათთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების მიზნით.“

სხვა სასარგებლო რესურსები

ევროპულმა სასამართლომ გამოაქვეყნა [„ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სახელმძღვანელო მე-18 მუხლის შესახებ“](#) რამდენიმე ენაზე, მათ შორის [აზერბაიჯანულ](#) და [ფრანგულ](#) ენებზე.

სასამართლოს მთავარი უფლებამოსილება მე-18 მუხლთან დაკავშირებით (ამ დოკუმენტის მომზადების დროისთვის) მოხსენიებულია სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებაში საქმეზე [„მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“](#).

ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისარი მე-18 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებულ მთელ რიგ საქმეებში მესამე მხარედ ჩაერთო.

„ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა ცენტრმა“ [მოითხოვა მესამე მხარის რანგში მონაწილეობის უფლება](#) საქმეში „ნავალნი და იფიცეროვი რუსეთის წინააღმდეგ“ (No. 78193/17) (პროფესორ ჯეფრი კანთან ერთად), რომელიც ეხება მე-18 მუხლის და მე-6 მუხლის ერთობლივ დაღრვევას.

იხილეთ „EJIL: ისაუბრეთ!“ „ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრის“ წარმომადგენლების ჯესიკა გავრონისა და რამუტე რემეზაიტეს მიერ მომზადებული [ბლოგპოსტი](#) მე-18 მუხლის მე-6 მუხლთან მიმართებაში გამოყენების შესახებ.

იმასთან დაკავშირებით თუ რომელი უფრო მიზანშეწონილია მე-17 მუხლი (უფლების ბოროტად გამოყენების აკრძალვა) თუ მე-18 მუხლი, გაცანით შემდეგი მოსამართლეების: პეიჩალის, დედოვის, რავარანის, ეიკეს და პაკოლას განსხვავებულ მოსაზრებებს [ალექსეი ნავალნის](#) საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში.



EHRAC European Human Rights Advocacy Centre

მიდლსექსის უნივერსიტეტი
ბეროუზ ჰენდონი
NW4 4BT
ტელ: +44 208 411 2826

ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული ცენტრი (EHRAC) დაფუძნებულია მიდლსექსის უნივერსიტეტის ფარგლებში. უნივერსიტეტი წარმოადგენს თავისუფალ საქველმოქმედო ორგანიზაციას საქველმოქმედო დაწესებულებების შესახებ 1960 წლის კანონის შესაბამისად.

გარეკანის სურათი - "Москва. Марш в поддержку политзаключённых" გადაღებულია ვლადიმერ ვარფოლომევის მიერ და ლიცენზირებულია CC BY-NC 2.0 შესაბამისად.